



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ კ ა ნ ე ბ ა № 08

ჩაქვი

18 იანვარი 2018წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

2018 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ახლებურად აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საკითხებს. ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018 წლის 20 იანვრამდე უნდა უზრუნველყონ საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით დამტკიცება, ამ კანონიდან გამომდინარე სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მათი 2018 წლის 01 იანვრიდან ამოქმედება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში ამ კანონის №1 და №2 დანართების ცხრილების მიხედვით თანამდებობრივი სარგოების დადგენისას დაუშვებელია დასაქმებული პირის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის ამ კანონის ამოქმედებამდე განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შემცირება, ხოლო მე-6 პუნქტის შესაბამისად, 2018–2020 წლებში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება შესაბამისი საშტატო ნუსხით და დგინდება არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით. 2017 წელს აღნიშნული საკითხი რეგულირდებოდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2014 წლის 06 იანვრის N6 გადაწყვეტილებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უშუალო აპარატის/სამდივნოს/ბიუროს თანამშრომელი საჯარო სამსახურში მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში

გათვალისწინებულ იქნა ახალი რეგულაცია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების რაოდენობა და მათი შრომის ანაზღაურების თანხა, ნაცვლად საბიუჯეტო მუხლისა „საქონელი და მომსახურება“, ასახულ იქნა უმაღლესი საბჭოს შრომის ანაზღაურების მუხლში. შესაბამისად, გაიზარდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, 2018 წლის 01 აპრილამდე საჯარო დაწესებულებას აქვს ამ კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების კორექტირების უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაქმებული ზოგიერთი პროფესიული საჯარო მოხელის იერარქიულ რანგებში განაწილების განმსაზღვრელი კომისიის“ 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-მე-8, მე-12, 22-ე და 34-ე მუხლების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 26 იანვრის N22 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საშტატო ნუსხა, თანახმად დანართისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურისა და 2017 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის N38 ბრძანება;

ბ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა 2017 წლის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის N37 ბრძანება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს დაევალოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება აპარატში დასაქმებულ პირთა დანიშვნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/ ხელშეკრულებების წინამდებარე ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

4. ბრძანების ასლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა დაევალოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს მათა ხაჯიშვილს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

7. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 01 იანვრიდან.



დავით გაბაიძე